135/2 N322

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 783
დამატების № 137
სამშაბათი, 25 დეკემბერი 1912 წ.

ქრისტე ავადმყოფთან. ნახატი კრამსკისა.

ნახტომი

სულო ჩემო! სულო ჩემო! ვის, ვის უნდა უყვარდე?
არ არსებობს სიყვარული მუდმივი, საუკუნო...
მაშ რას ელი? სულო ჩემო! შეხტი, შეინავარდე,
შეგიძლიან ყველას კარებს დაჰკრა, დაუკაკუნო!..

რას ყმაწვილობ?.. ყველას ტრფობა რატომ არ შეიძლება!?..
ვსთქვათ, თუ დღეს შენ—ყვავილთ შორის იას ეტრფიალები
და ხვალე კი—ვითომ რატომ? ამით რა შეიცვლება,—
რომ ზამბახსაც ეალერსო, დაუკოცნო თვალები?!..

ეხ, მეც მყავდა ერთი ვარდი!—ვყავდი უმანკოებას!..
ეხ, მეც ვიყავ სიყვარულის მგოსანი ზეციერი!—
მაგრამ მეც დამარწმუნეს ქვეყნის ამაოებას:
რომ მარტოდენ გატაცება არსებობს წუთიერი!..

მაშ რას ელი? სულო ჩემო, შეხტი, შეინავარდე...
შეგიძლიან ყველას კარებს დაჰკრა, დაუკაკუნო!..
არ არსებობს წმინდა გული—მაშ ვის უნდა უყვარდე?!
არ არსებობს სიყვარული მუდმივი, საუკუნო.

ი. გრიშაშვილი.

ალი

საღამოა. სიო ნელი მღერს სიმღერას იდუმალსა,
ძილს ეძლევა მინდორ-ველი და სოფელიც ხუჭავს თვალსა,
მწუხრად კვნესის მწუხრის ზარი, სადღაც მწირის ლოცვა დნება,
—ცით ამური ტანჯულ მიწას ტრფობის ზღაპარს ეუბნება.
ახლად აფოთლილ ცაცხვის ძირში, სად სიჩუმეს განაბულსა
შუქს ესვრიან მზის ყვავილნი მარგალიტით დანამულსა,
სავსე ციურ მშვენებითა, მხრებზე გიშრის თმა-ნაშალი,
ტყის უფსკრულით გამოჭრილი, წევს მწვანეზე ტურფა ქალი!
სდუმს ყოველი. ისმის მხოლოდ ბულბულისა სტვენა ტკბილი,
სძინავს ტყის-ქალს და სახეზე დასთამაშებს ცის ღიმილი,
თითქოს ღელავს ბროლის მკერდი, შუქი მისი ისე კრთება,
დასცქერს მთვარე და იდუმალ სიყვარულით იწვის, დნება!

***

აგერ, ვიღაც იმ ცაცხვისკენ მიდის ჩუმად, ფეხ-აკრეფით,
ესწრაფება სატრფოს ნახვას და საბრალო ტოკავს შვებით,
მიაღწია... ტყის ასული საყვარელი მას ეგონა,
დაიხარა და უსიტყვოდ ფიქალ მკერდზე დაეკონა.
შეკრთა ქალი; მაგრამ უცბად იგრძნო რაღაც ნება ტკბილი.
ბაგე ისევ გაუწოდა, მოეხვია მკლავ-გაშლილი,
ყელით ყელსა გადაეჭდო, წუთით სუნთქვა გაიყინა,
და თრთოლაში ნეტარების საუკუნოდ დაიძინა.
ადგა ვაჟი. დააცქერდა და რა სატრფო ჰპოვა მკვდარი,
თმა-წვერს ეცა, დაიგრიხა მწუხარებით განამწარი.
და ტრფიალის დასაწევათ გულს ჩაიცა მან ხანჯალი...
ღამე სდუმდა. ქარს მიჰქონდა სიყვარულის სამართალი!

ნ. ჩხიკვაძე.

გაიმვერა

(კ. ჰამსუნისა).

ძვირფასო მკითხველო, სასაფლაოზე შევხვდი ამ ადამიანს, არაფრით არ მიგრძნობინებია, რომ მისი გაცნობა მწადა. მხოლოდ მის გვერდით ჩამოვჯექ სკამზე და ვკითხე:

— ხელს ხომ არ შეგიშლით?

— სრულებით არა! ვზივარ და ვუცქერ ამ მკვდარ თანხას მიპასუხა მან და ხელი მიმითითა საფლავებზე.

დილა იყო. რაც ღრო გადიოდა სასაფლაო უფრო ცოცხლდებოდა; მოდიოდნენ: მუშები, კალატოზები. მოხუცებული დარაჯი უკვე დაჯდა საყარაულოში და გაზეთების კითხვა იწყო. აქა-იქ მოსჩანდნენ ქალები, ზოგი ყვავილებსა რგავდა, ზოგი რწყავდა, ან სთიბავდა მაღალ ბალახებს. ხშირ ფოთლიან წაბლის ხეებზე ფრინველები ჟივჟივებდნენ.

ამ კაცს სრულიად ვერ ვიცნობდი, ის იყო ახალგაზდა, მაღალ-მაღალი, ტანთ ეცვა ოდნავ დაცვეთილი ტანთსაცმელი. შუბლზე ნაოჭები აჩნდა, თვალთა იდუმალი გამომეტყველება და ღრმა ხმა მოხუცებულ და გამოცდილ ადამიანს ამსგავსებდა.

— ადგილობრივი მცხოვრები უნდა იყვეთ?

— ცხრა წელიწადია, სამშობლოში არა ვყოფილვარ.

მიეყრდნო სკამის საზურგეს და დაუწყო ცქერა საფლავებს; პალტოს ჯიბიდან უჩანდა ნემენცური და ფრანგული გაზეთები.

— რა სევდის მომგვრელია ასეთ საფლავების ცქერა, რამოდენი მიცვალებული დაუფლავთ ამ პატარა მანძილზე, რამოდენი შრომაა დახარჯული და რა ცოტა ნაყოფი სჩანს, მაგრამ უფრო მაშფოთებს მიცვალებულთადმი თაყვანის ცემა და მათთვის გლოვა ტრილი.

— უსარგებლო ჩვეულებაა.

— შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ რამოდენი სიმდიდრე არის დახარჯული? შლამზე ჰყრიან ძვირფას ყვავილებს, სდგამენ სკამებს, რათა ჩამოსხდნენ და იტირონ, აშენებენ ძეგლებს, რომელზედაც უთვალავ ფულსა ჰხარჯვენ. მთელი ეს სიმდიდრე ხელუხლებელია, საჭიროებს მხოლოდ მოვლას, ცრემლებს, ყვავილებს, რომელნიც იხრწნებიან და სჭკნებიან. თვითეული გვირგვინი რამოდენიმე კრონი ღირს.

— სოციალისტია, მშრომელ ხალხის მეგობარი, რომელიც საზღვარ-გარედ ყოფილა წასული და შეუსწავლია ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ—გავიფიქრე მე.

— არც თქვენა ხართ ადგილობრივი მცხოვრები?

— არა!

— აგერ შეხედეთ?—წარმოსთქვა მან და ერთი თვალის გამომეტყველებით მიიქცია ჩემი ყურადღება. ჰხედავთ აქეთ რომ დედაკაცი მოდის? დააკვირდით, როდესაც ახლოს გაიაროს?

დედაკაცმა ჩვენს ახლოს გაიარა, გვერდით მისდევდა პატარა ბავშვი ყვავილებით, და მოხუცებული დედაკაცი. სამივენი სასაფლაოს ქვემო კუთხისაკენ გაეშურნენ.

— ნუ თუ ვერაფერი შეამჩნიეთ?

— ის დედაკაცი მოგვაცქერდა.

— მაპატიეთ, ის მე მომაცქერდა. თქვენ გეცინებათ. რამდენიმე დღის წინ მან ჩემს გვერდით გაიარა. მე აქ ვიჯექ და მესაფლავეს ვებაასებოდი, მსურდა დამერწმუნებინა, რომ მისი ხელობა პატიოსანი შრომა არ არის.

— რისთვის?

— იმიტომ რომ უნაყოფოდ სთხრის მიწას და ხელიდან აცლის ცოცხალ ადამიანებს, რომელთაც ჰსურთ ამ მიწით იცხოვრონ.

— საბრალო გზა დაკარგული მოაზრე! განა სწერია სამღვთო წერილებში, მიცვალებულთა სხეულს მიწაში არ უნდა მარხდნენო. თავს მაბეზრებ!—გავიფიქრე.

— ვეუბნებოდი მესაფლავეს იმ ცოდვებზე, რომელიც ამ წმინდა ადგილს ხდება, იმ დედაკაცმა გაიგონა ჩემი სიტყვები და მომაცქერდა. მართლა, მიაქციეთ ყურადღება იმ მოხუც დედაკაცს, რომელიც გვერდით მისდევდა? ეს ის საბრალო არსებაა, რომელმაც თვისი სიცოცხლის საუკეთესო დღენი გაატარა მიწის უნაყოფო თხრასა და შებულულებაში. დაინახეთ რა მიჰქონდა პატარა ბავშვს?

— ყვავილები.

— თვითეული ყვავილი ერთი კრონი ღირს, ძვირფასი და ნაზი ყვავილებია, ისინი სჭკნებიან როგორც კი მზის სხივი დაანათებს. სამი დღის შემდეგ მათ ნაცვლად ახალს მოიტანენ.

— პირამიდები უფრო ძვირი იყო!

— იმ დროს ეს ამოდენად საგრძნობი არ იყო.

ვიცი პირამიდებს უდაბნოში აგებდნენ, პირამიდები სულ სხვაა და მორთული საფლავები სულ სხვა. შეხედეთ ამუ თვალავ მოაჯირებს, ძეგლებს, არას ვიტყვი წარწერებზე, ამ საუცხოვო მრავალ ფეროვნებაზე, არა, შეხედეთ მხოლოდ მოაჯირთ. მე ამ საგანზე ვებაასებოდი მესაფლავეს, მოთხოვნილება ბევრია, და ძეგლიც მეტად ძვირია.

რას წარმოადგენს ძეგლი? ეს თვით ცხოვრებაა. შევნიშნე! რომ თვით ამ ცხოვრებას არ შეიძლება წავართოთ იდეალური მისწრაფება, იმ მოვლენას, რომ ადამიანები ამკობენ ძეგლით მიცვალებულთა საფლავს რამოდენიმეთ ეთიური მნიშვნელობა აქვს.

— ჰხედავთ? ამ სიმდიდრით, რომელიც ყოველ დღიურად იხარჯება სასაფლაოზე შესაძლოა ვასაზრდოოთ რამდენიმე ღარიბი ოჯახი, აღვზარდოთ ღატაკი ბავშვები; მე ვიცნობ ამ ახალგაზდა დედაკაცს, რომელიც რგავს კამილიის ყვავილებს, რომელის ღირებულება უდრის ორ ბავშვის ტანთსაცმელს.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ სოციალისტი იყო და შესაძლოა ანარქისტიც, რომელიც ერთობა ჰით, რომ გონებას სერიოზულ კითხვებით იტვირთავს.

— აი, იქ დარაჯი ზის. თქვენ იცით, გაზეთების კითხვის გარდა, სხვა რა საქმე აქვს? მან სასაფლაოს უნდა უდარაჯოს. მიცვალებულთა შორის წესიერების დაცველია. დღეს უთხარ იმ დარაჯს: თუ დავინახე ბავშვი რომელიც ყვავილებს იპარავს საფლავზე რომ შემდეგ გაჰყიდოს და მით შიმშილს თავი დაღწიოს, არა თუ დაუშლი დაგეხმარები კიდეც მეთქი. „ჩემის აზრით ეს ცოდო არისო“—მიპასუხა მან. წარმოიდგინეთ, მშიერი ღატაკი გეკითხებათ: „რომელი საათია“? თქვენ იღებთ საათს, ის გტაცებთ ხელიდან და გარბის. დაგრჩენიათ ორი გზა: შეგიძლიანთ განაცხადოთ საათი ორი დღის შემდეგ დაგიბრუნდებათ, ის დაზღვევებული იქნება, შემდეგ ბოროტმოქმედსაც მოსძებნიან. მეორე გზა—სრულებით არაფერი არა განაცხადოთ რა, არავის არაფერი გაუმხილოთ... ძრიელ დავიქანცე რადგან წუხელ ცუდად მეძინა. ავდექ და წასასვლელად მოვემზადე, მან თითი გაიშვირა ზღვისაკენ.

— მე დავდიოდი იქ ნავთსადგურის ახლოს, მსურდა დამენახა სძინავს თუ არა ღამით ცოდვასა და საჭიროებას. დრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალკანეთის ომის გამო.

სტოიან დანევი, (ბულგარეთი). **ვენიზელოსი,** (საბერძნეთი). **სტოიან ნოვაკოვიჩი,** (სერბია). **მუსტაფა რეშიდ-ფაშა,** (ოსმალეთი. **ლაზარე მიუშკოვიჩი,** (ჩერნოგორია).



სამშვიდობო კონფერენციის თავმჯდომარენი.

გამოშვებით საკვირველ საგანს შეხვდებით. მისმინეთ! ცხრა წლის წინად, ერთხელ საღამოს ჟამს ვიჯექ ამ ადგილს, ვგონებ ამ სკამზე, მოხდა არაჩვეულებრივი რამ, რაც დღევანდლამდე ვერ დამავიწყებდა. საკმაოდ შეღამდა. სასაფლაოზე მყოფნი წავიდნენ თავიანთ სახლებში. ამოვარდა ძრიელი ქარიშხალი... შევიბნიე პალტო და წასვლა დავაპირე. ამ დროს ჩემს წინ გაირბინა მესაფლავემ.

— პატარა გოგოს ხელში ჩანთით ხომ არ გამოუვლია?

— არ შემინიშნავს! რა მოხდა?

— ყვავილები მოიპარა.. . . . . .

როდესაც კვლავ გამოიარა შევეკითხე:

— იპოვეთ ბავშვი?

— არა! მაგრამ კარები ჩავკეტე.

ბავშვი უთუოდ სასაფლაოზე დაიმალა. საქმე სერიოზულ სახეს ღებულობდა, ამ დღეს მესამე მაგალითი იყო ყვავილების მოპარვისა. იპარავდნენ სკოლაში მოსიარულე პატარა ბავშვები. როგორ მოგწონთ? აკეთებენ თავგულსა და ჰყიდიან. ჩინებული ბავშვები არიან. მე წავყევ მესაფლავეს ბავშვის საძებრად, დარაჯიც წავიყვანეთ. შეღამდა ბავშვი კი ვერ ვიპოვეთ.

— სად არის ის საფლავი, საიდანაც ყვავილები მოიპარეს?

— აი იქ, ბავშვის საფლავია.

ვიცან ის საფლავი; დღეს დილით მივაბარეთ ამ ცივს სამარეს პატარა გოგო; ჩემი მიტანილი ყვავილები მოეპარათ.

— კვლავ ვეძიოთ. ეს საშინელებაა..

უეცრივ თვალი მოვკარ პატარა გოგოს, მოკრუნჩხულიყო, კისერი გამოეწვდინა და მომჩერებოდა.

ვიცან, ის მიცვალებული ბავშვის და იყო.

— საყვარელო ბავშვო, რათა ზიხარ აქ ამ დროს? იცი ვიღაც ბოროტ ბავშვს მოუპარავს ყვავილები პანნას საფლავზე. ხომ არ დაგინახავს? ჩვენ ვიპოვით მას. წამოდი სახლში, პანნა უთუოდ სწუხს რომ შენ მის გულისთვის ზიხარ აქ.

— აი ის, ქურდი—წამოიძახა მესაფლავემ.

— რას ამბობთ? თქვენ სცდებით, ეს ქურდი არ არის ეს უნცროსი და არის მისი, რომელიც დღეს დავასაფლავეთ, ამას ელინა ჰქვიან.

მესაფლავე თავისას არ იშლიდა, დარაჯმაც იცნო ის, მას მოეპარა ყვავილები დის საფლავიდან, საბრალომ სიტყვის თქმაც ვერ შესძლო თავის გასამართლებლად.

დიდი ხანია ვიცნობდი ორივე დებს, ერთს ეზოში ვცხოვრობდით, ხშირად თამაშობდნენ ჩემ ფანჯრის წინ. დედა მათი არ იყო პატიოსანი დედაკაცი და ი ვიათად იმყოფებოდა სახლში. მამებს ისინი ვერა სცნობდნენ. ისეთ პატარა სენაკში სცხოვრობდნენ ეს ბავშვები რომ ამ საფლავის ლოდის სიგრძე სიგანეს ძლივს უდრიდა. პანნა ორი წლით უმფროსი იყო დრო გამოშვებით უმფროსივით იცოდა მსჯელობა. ხან და ხან გაკვეთილებსაც კი ასწავლიდა დას. პანნა წლოვანებაზე შეუფერებელი და სერიოზული ბავშვი იყო და დიდხანს ვერ იცოცხლა ამ ქვეყნად...

მესაფლავემ პოლიციაში წაიყვანა, მეც გავყევ. ელინას გამოჰკითხეს, მაგრამ ვერავითარი პასუხი ვერ მიიღეს. მას შემდეგ აღარ მინახავს; რადგან ცხრა წლის განმავლობაში წასული ვიყავ. ეხლა კვლავ დაწვრილებით შევიტყე: ჩვენ საშინელი დანაშაულება ჩავიდინეთ იმ დროს, მას ის ყვავილები არ მოუპარავს; მაგრამ თუნდაც მოეპაროს, მე ვიტყვი რად არ უნდა მოეპარა?

იცით, ვნახე ელინა და თუ მოისურვებთ, შემიძლიან თქვენც მიგიყვანოთ მასთან.

თუ შეგიძლიანთ გაიგოთ რასაც ეხლა გიამბობ მისმინე! დიახ—ამბობს ავადმყოფი გოგო, როდესაც მოვკვდები უთუოდ მოიტანენ ყვავილს, მასწავლებელი თაიგულს გამოგზავნის კეთილმა ქალმა ბენდიშმა შესაძლოა გვრიგვრინიც გამოგზავნოს. ავადმყოფი გოგო მსჯელობს, როგორც მოზრდილი თავის წლოვანებასთან შედარებით განვითარებულია ავადმყოფობამ უფრო გააფაქიზა მისი გონება. როდესაც ის მსჯელობს ელინა უსმენს და ჰსურს გაიგოს მისი ნაამბობი.

— მაგრამ ყვავილები დასჭკნებიან, მჭკნარი ყვავილები რად მინდა საფლავზე. გახსოვს ელინა ფეხსაცმელები, რომელიც ჩვენ დავინახეთ სავაჭრო დუქანში? წაიღე ყვავილები და გაჰყიდე; კვირაობით ბევრი ხალხი დასეირნობს, უთუოდ იყიდიან.

— უმჯობესი არ არის ქუდი ვიყიდო?

— ჯერ ფეხსაცმელები, თუ ფული მოგრჩეს იყიდე ქუდიც—ასე გადასწყვიტეს მათ.

— რამდენი წლის იქნებოდა ავადმყოფი?

თორმეტისა, მაგრამ წლოვანებას რა მნიშვნელობა აქვს. ჩემმა პატარა დამ ძრიელ კარგად იცოდა ბერძნული კითხვა...

ელინა დასაჯეს, პოლიციაში შეაშინეს, მასწავლებელმაც მიიღო მონაწილეობა, გაკვეთილის შემდეგ მიიხმობდა ელინას და მოფერებით ასმენდა მას, თუ რა დანაშაულობა ჩაიდინა და მოითხოვდა რომ ელოცა, შეჰვედრებოდა ღმერთს, ცოდვები ეპატივებინა.

ელინას ხასიათი გამოეცვალა: ჭგრძნობს, ეჭვი აქვთ ყოველგვარ სიცუდეში, იცის თვალ-ყურს ადევნებენ და სცდილობს დაემალოს თვალთა ხედვას მასწავლებლისას. მოახლოვდა დღე მისი პირველი ზიარებისა. მოძღვარი უკითხავს მას მთელ ქადაგებას მერვე მცნებაზე. ყველას განსაკუთრებითი წარმოდგენა აქვს ელინას მომავალზე.

ერთს მშვენიერ დღეს ის სამუდამოდ მიდის სახ ამ ღამეს კვლავ ვიხილე ის. კარებში იდგა, რაღაც წამჩურჩულა, არ შემეძლო არ მეცნო, მახსოვდა მისი ხმა.

— შემოდით, მე ვარ.

— როგორ გაზრდილხართ ელინა?

— გავზრდილვარ? რა უგუნურებაა! დრო არა მაქვს ლაზღანდრობისა, თუ არ გსურთ შემოსვლა ნუ სდგეხართ აქ, სხვას ნუ აბრკოლებთ

ვუთხარ ჩემი სახელი, მოვაგონე ძველი ეზო, პატრა პანნა, მოვაგონე ყოველივე რაც ვიცოდი—შევიდეთ შინ და ცოტა ხნით ვილაპარაკოთ!

— არაფერი დავლიოთ?

აი რა გამოვიდა შემდეგ ელინასაგან.—ეხლა რომ პანნა იყვეს ჩვენთან რამოდენს ვისაუბრებდით.

— რა სისულელეს ლაყბობთ! ხომ არ შეშლილხართ?

— ნუ თუ აღარ გახსოვს პანნა!

— პანნა! პანნა! ბავშვია თუ? ყოველივე ეს წარსულს ეკუთვნის, კიდევ ღირს მაზე ფიქრი? რა უგუნურებაა. მოვატანინო სასმელი?

— როგორც გსურთ?

ადგა... მეორე ოთახიდან ხმაურობა, ლანძღვა-გინება ისმოდა, უბრძანა მოსამსახურეს, მოიბრუნდა პაპიროზი მოსწია და მოიწადინა ჩემს მუხლზე დაჯდომა.

— რად არა გსურს შენს მუხლზე ჩამოვჯდე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ასეთი გრძნობით არ მოვსულვარ აქ. მაშ, გადიხადეთ ღვინის ფული და მიბრძანდით.

— ვისაუბროთ, სასყიდელს მოგართმევ, რა გენაღვლება, დროს ხომ არ დაჰკარგავთ? მივეცი ფული, არ ახსოვს რამდენი, მაგრამ ეს საკმაო თანხა იყო. როდესაც ვკითხავდი რასმე, სიმღერას დაიწყებდა და პაპიროზს აბოლებდა.

— შეიძლება მოსამსახურეს დავალევინო ღვინო?

— რატომ არა!

უნდა გითხრათ, რომ ის დედა ჩემია. მე ვუშოვე ეს ადგილი, აქ მშვენიერი საზრდო აქვს.

გაიტანა ღვინო, დერეფანში და მალე დაბრუნდა.

— შენი სადღეგრძელო იყოს, ძველო მეგობარო.

— ნუ თუ არ მოგწყინდათ აქ ცხოვრება?

— მომწყინდა? არა! რად არ მაძლევ ნებას ჩამოვჯდე შენს მუხლებზე?

— დიდი ხანია აქა სცხოვრობთ?

— სიმართლე გითხრა, აღარ მახსოვს, განა სულ ერთი არ არის? შენი სადღეგრძელო იყოს.

დაიწყო სიმღერა რაღაც სულელურ და უაზრო რომანსისა.

— სად ისწავლე ეგ სიმღერა?

— ტიკოლში.

— ხშირად დაიარები იქ?

— ხშირად! როდესაც ფული მაქვს. დღეს დიასახლისი მოვიდა ფულზე, ის ბევრ ფულს თხოულობს ჩვენგან, არაფერი გვრჩება, იქნება შენ მომცე ფული?

კიდევ მივეცი ფული, მადლობის ღირსიც არ გამხადა, კიდევ მომთხოვა ღვინო, უთუოდ ჩემში ჰხედავდა ისეთ ადამიანს, რომლიდანაც რაც შეიძლება ყველაფერი უნდა წაიღო. ჩემზე თავის მოწონება მოინდომა, დაუძახა ორ მეძავ ქალს, დაიწყეს სმა. ელინამ გააცნო მათ ჩემი თავი, უთხრა რომ ბევრი ფული მივეცი და სხვა.

ხვამდნენ ღვინოს და მხიარულობდნენ, სცდილობდნენ, ერთმანეთის დაჩრდილვას, მღეროდნენ. ელინამ შენიშნა, მე მათ ვკსაუბრებოდი და გაჯავრდა, აიღო თვისი მოსახურავი და წასვლა მოიწადინა.

— თქვენ მიბრძანებდით?

— არ მიპასუხა, რაღაცას მღეროდა თან ქუდს იხურავდა. გააღო კარები და დედას დაუძახა.

— გინა! ის მოვიდა და კარებში შეჩერდა, შენ ყოველ დღე უნდა გაასუფთაო შკაფი, ეს რა უწესრიგობაა არ გაბედო შემდეგ.

— კარგი. წავიდა და წყნარად მიხურა კარები.

— გადაიხადეთ ღვინის ფული და მიბრძანდით.

— ე მოგეცით ღვინის ფული, მაგრამ შესაძლოა მაქვს კიდევ—დავიწყე ჯიბეში ფულის ძებნა.

— აი მდიდარი? ელინამ ბევრი ფული აიღო და მას აღარა დარჩენია რა. ხა! ხა! ხა!

— გაეთრიეთ აქედან, არ მსურს აქ იყვეთ. შეჰხედეთ რამოდენი ფული მომცა, მან ღვინის ფულიც გადაიხადა მეც ბევრი ფული მომცა, შეხედეთ! თქვენ სიცოცხლეში თვალითაც არ გენახვებათ ერთად ამოდენა ფული. ეხლა ორი თვის ფული მივცე წინდა-წინ დიასახლისს; მე ვხუმრობდი ამის გასაჯავრებლად, გაეთრიეთ აქედან...

მე არა მსურს მათი აქ დარჩენა, საზიზღარი ქალებია. მათთან მე საერთო არაფერი მაქვს... განა ვერ შეამჩნიე? ისინი საზიზღრები არიან.

— ვერ შავამჩნიე. პასუხს მაძლევდნენ კითხვაზე, თავგადასავალს მიამბობდნენ: ჩინებული ქალები არიან.

— მაშ, შენც შეგიძლიან გაეთრიო აქედან, წადი მათთან, რაკი ისინი მოგწონს.

— მე მსურდა ერთი რამ მეკითხა.

— ჩემთვის? არაფერი საერთო მაქვს შენთან უთუოდ პანნაზე გსურს მკითხო! ამ უგუნურ ყბედობას მოთმინებიდან გამოვყევარ, ამით უმჯობესობა არ მემჩნევა.

— ნუ თუ არ შეგიძლიანთ თავი დაანებოთ ამ გვარ ცხოვრებას. დაეხსენით ამ გახრწნილ ცხოვრებას.

— რისთვის! სად წავიდე, ვინ შემირთავს ცოლად, ვის სურს ეგეთი როგორიც მე ვარ.

— სცადეთ სოფელში წასვლა პატიოსანი ცხოვრება.

— უგუნურებაა! დადუმდი. მე აქაც მშვენივრად ვცხოვრობ. მოატანინე კიდევ ღვინო ჩვენ დავრჩეთ აქ მარტონი. გინა!

მეტი გამოკითხვა შეუძლებელი იყო. ერთს გონიერ სიტყვასაც ვერ გაიგონებდი მისგან, სულ მღეროდა, დაოვრა, განუწყვეტლივ ითხოვდა მუხლებზე დამესვა.

— დარჩებით ამაღამ?

— არა.

— მაშ ქუჩაში წავალ მე...

როგორ მოიქცეოდით ჩემს ადგილს რომ ყოფილიყავით? დარჩებოდით? იცით რა გადავსწყვიტე?

დავრჩი მასთან!

— დარჩით მთელი ღამე იმ ქალთან?

— მე გახრწნილი, სულმდაბალი ადამიანი ვარ.

— ღმერთო ჩემო, რას ფიქრობდით, მთვრალი იყავით?

— დიახ, ბოლოს დავითვერ, მაგრამ ეს საყურადღებო არ არის, მე სხვა ადამიანებზე გახრწნილი არა ვარ, მე ვიცოდი იმ ქალის შემაძრწუნებელი და აღმაშფოთებელი ისტორია, და მე რაღაც სიამოვნება ვიპოვე ჩემს გახრწნილებაში. დავრჩი, და რა უსირცხვობის მორევში ჩავიძირეთ ჩვენ! ეხლა კიდევ მსურს წავიდე მასთან, მე ვფიქრობ კიდევ შეიძლება მაზე კეთილ გავლენის მოხდენა.

უთუოდ ფიქრობთ, რომ ასეთ საქმისთვის არ ვარგივარ. მაგრამ შესაძლოა არც ისეთი ცუდი ადამიანი ვიყვე, როგორიცა გგონივარ, თქვენ მხოლოდ მაზე ფიქრობთ რად დავრჩი მასთან მთელი ღამე, მაგრამ იქონიეთ მხედველობაში ჩემს მაგივრად სხვა დარჩებოდა მასთან და ის ამით მხოლოდ იზარალებდა.

მხოლოდ ფიქრი რომ ის დაეცა და გაიხრწნა რაღაც უმნიშვნელო ყვავილების გამო სასოწარკვეთილებაში მაგდებს. აკრძალული რომ არ ყოფილიყო სასაფლაოდან ყვავილების წაღება ის დღესაც პატიოსანი დედაკაცი იქნებოდა და მე წილი მიდევს მის გაუპატიურებაში, მის დაღუპვაში.

თავი ჩააქნია და ღრმად ჩაფიქრდა.

— მე თქვენც შეგაჩერეთ, მეც დაღლილობასა ვგრძნობ, ნეტავ რა დროა ეხლა?

მსურდა საათში ჩამეხედა, მაგრამ საათი ჯიბეში არა მქონდა, ალბად შინ თუ დამრჩა.

— გმადლობთ! შეხედეთ ის დედაკაცი ბრუნდება. მწუხარებასაცა აქვს განსაზღვრული დრო, ბავშვს ყვავილები აღარ მაქვს, საფლავზე დასტოვებდა, ოთხი დღის შემდეგ ისინი დასჭკნება, და რომელიმე ბავშვმა რომ მოიწადინოს მისი მოპარვა და გაყიდვა, დამნაშავედ არ ჩავთვლი—სთქვა ეს სიტყვები და მთელი წუთის განმავლობაში დაჟინებით მომაცქერდა შემდეგ გადიხარხარა.

— აი როგორ ისტორიებს გიამბობთ? გულწრფელ მადლობას გწირავ, დიდათ პატივცემულო მსმენელო.

ქუდი მოიხადა გამომესალმა და წავიდა.

—

დავრჩი გამოურკვეველ ფიქრებით მოცული. ამ კაცმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, საღი გონება დამიბნელა. რა უგუნური ვირია, ღამე გაატარა როსკიპ ქალთან გახრწნილი! იცრუა, ყოველი სიტყვა სიცრუე იყო. ნეტავ ვინ იყო ეს გაიძვერა თუ კიდევ შევხვდი უთუოდ შეურაცყოფას მივაყენებ. სადღაც წაუკითხავს ეს ამბავი, გაუზეპირებია და მიამბო თითქოს თითონ ყოფილიყოს ამ ამბების მოწმე. სიმართლე ვსთქვათ კარგი კი იყო, ის კაცი ნიკს არ არის მოკლებული, ხა! ხა! ხა!

მიველ სახლში რაღაც დაღონებული. საათი მაგიდაზე არ იყო. თავში ხელი შემოვიკარ. ჩემი საათი მან მომპარა, უთუოდ მან, დიახ!

მშვენივრად მოხერხებული ბოროტ-მოქმედებაა? ორი გზა დარჩა: შემეძლო განმეცხადებინა და ორი დღის შემდეგ მეპოვნა, ჩემი საათი რომელიმე ვაჭართან იქნებოდა დაგირავებული. შემდეგ თვით ქურდსაც იპოვნიდნენ. მეორე გზა კი იყო, არ განმეცხადებინა, არ გამემხილა.

მეც ეს გზა ვარჩიე.

მიხ. ბოჭორიშვილი.

ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა 12. რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.